3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბეჭდი ქაღალდის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2015წლის 15 დეკემბრამდე ერთიანად ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე. ქ.თბილისის ფარგლებს გარეთ არსებულ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებსაც ევალებათ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შეისყიდონ საბეჭდი ქაღალდი საქონლის გატანა შეუძლიათ ქ.ქუთაისი ორახელაშვილის #14.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრილებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტთ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯის ანაზღაურება.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად,კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესყიდული საქონლის ხარისხის შემოწმებას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. ინპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ან ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4. ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით დარჩენილი რაოდენობის 5%-ის ოდენობით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევეში.

8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველ ორგანიზაციას დააკისროს ჩაბარებული საქონლის 0,05% პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეული ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს,იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ,მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ.წინააღმდეგ შემთხვევაში,შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.